II

ტესტი ისტორიაში

2012

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს ზედმეტი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომები, რომელშიც იქნება მსგავსი აღნიშვნები, არ გასწორდება!

დავალებაში - „არჩევითბოლოიანი კითხვა“ - თქვენს მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება; თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

სხვა ტიპის დავალებებში თქვენს მიერ დაშვებული შეცდომა აუცილებლად უნდა გადახაზოთ (არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ფრჩხილები!) და ზემოთ დააწეროთ სწორი პასუხი.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისათვის განკუთვნილი ადგილები.

ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ აბიტურიენტს ეძლევა 2,5 საათი.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტში არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

652027

I – არჩევითბოლოიანი კითხვა

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება; თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. როგორ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყო დარიოს I-მა სამეფო?

ა. სატრაპიებად

ბ. სკეპტუხიებად

გ. საპიტიახშოებად

დ. სამარზპანოებად

2. რატომ წარმართა „მახვილი მცირედ“ მირიან მეფის ერისთავმა მთიელთა წინააღმდეგ?

ა. შეწყვიტეს ხარკის გადახდა

ბ. დახოცეს მეფის მოხელეები

გ. შეიფარეს განმდგარი ფეოდალები

დ. უარი თქვეს გაქრისტიანებაზე

3. რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I?

ა. IV

ბ. V

გ. VI

დ. VII

4. რომელ საუკუნეში ილაშქრა საქართველოში ბუღა თურქმა?

ა. VI

ბ. VIII

გ. IX

დ. X

5. რომელ ბრძოლაში ჩაუვარდა ტყვედ სელჩუკებს ბიზანტიის იმპერატორი?

ა. დვინის

ბ. ნიკეის

გ. ნისიბინის

დ. მანასკერტის

6. რა უწოდეს მონღოლებმა დავით ლაშა-გიორგის ძეს?

ა. ულუ

ბ. ემირი

გ. ნოინი

დ. ნარინი

7. რომელი მეფის დროს გამოვიდა ინგლისის ეკლესია რომის პაპის დაქვემდებარებიდან?

ა. რიჩარდ I-ის

ბ. ედუარდ III-ის

გ. ჰენრი VIII-ის

დ. ჯეიმს II-ის

8. რა ტიტულს ატარებდა სულეიმან I ბრწყინვალე?

ა. ხალიფა

ბ. შაჰი

გ. სულთანი

დ. ყაენი

9. რომელი დინასტიის წარმომადგენელი იყო ინგლისის მეფე ჯეიმს I?

ა. პლანტაგენეტების

ბ. ტიუდორების

გ. სტიუარტების

დ. უინძორების

10. ვინ იყო დენი დიდრო?

ა. იტალიელი მუსიკოსი

ბ. ბელგიელი ფერმწერი

გ. ნიდერლანდელი ჰუმანისტი

დ. ფრანგი განმანათლებელი

11. XIX საუკუნის რომელ წლებში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომს ეწოდა „ყირიმის ომი“?

ა. 10-იან

ბ. 20-იან

გ. 50-იან

დ. 70-იან

12. რომელი მეფისნაცვლის მოღვაწეობის დროს აღდგა ქართული თეატრი?

ა. ბარონ როზენის

ბ. ალექსანდრე ბარიატინსკის

გ. დონდუკოვ-კორსაკოვის

დ. მიხეილ ვორონცოვის

13. სადაური იყო ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელი გავრილო პრინციპი?

ა. სერბი

ბ. უნგრელი

გ. ბულგარელი

დ. გერმანელი

14. რომელი დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიქმნა ევროპაში I მსოფლიო ომის შემდეგ?

ა. პორტუგალია, ბელგია, ნორვეგია

ბ. ნიდერლანდები, დანია, შვედეთი

გ. რუმინეთი, ალბანეთი, ბულგარეთი

დ. ლიტვა, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია

15. რომელი ევროპული სახელმწიფო გახდა ფაქტობრივად საქართველოს მთავარი პოლიტიკური მოკავშირე 1918 წელს?

ა. საფრანგეთი

ბ. გერმანია

გ. იტალია

დ. ინგლისი

16. რას გულისხმობდა საბჭოთა კავშირში შემოღებული „ნეპ“-ი?

ა. კოლმეურნეობების შეცვლას ფერმერული მეურნეობებით

ბ. ქვეყნის სრულ ელექტრიფიკაციას

გ. სასურსათო გაწერასა და შრომითი ბანაკების შექმნას

დ. მცირე დოზით კერძო საკუთრების, ბიზნესისა და იჯარის დაშვებას

17. რომელ ქვეყანაში შეიქმნა პირველად ფაშისტური პარტია?

ა. პორტუგალიაში

ბ. ესპანეთში

გ. გერმანიაში

დ. იტალიაში

18. რა მიზნით შენდებოდა ნაცისტური გერმანიის მიერ დაპყრობილ ქალაქებში „გეტო“?

ა. იძულებით სამუშაოზე გაგზავნილთა საცხოვრებლად

ბ. სამხედრო ტყვეების იზოლაციისთვის

გ. ებრაელების იძულებითი იზოლაციისთვის

დ. ემიგრანტების დროებით საცხოვრებლად

19. რა მოვლენას მოჰყვა შედეგად აშშ–ს ჩაბმა II მსოფლიო ომში?

ა. ოპერაციას „ოვერლორდი“

ბ. ბრძოლას სანტა–კრუსის კუნძულებთან

გ. ფილიპინების დაკარგვას

დ. პერლ–ჰარბორის დაბომბვას

20. რომელი სახელმწიფო იყენებდა სამხედრო ტაქტიკას, ე.წ. „ბლიცკრიგს“ II მსოფლიო ომის დროს?

ა. დიდი ბრიტანეთი

ბ. იაპონია

გ. საბჭოთა კავშირი

დ. გერმანია

21. რომელ ქალაქში შედგა ნაცისტი დამნაშავეების საერთაშორისო სასამართლო?

ა. მიუნხენში

ბ. ბერლინში

გ. დრეზდენში

დ. ნიურნბერგში

22. ვინ იყო „აპარტეიდის“ წინააღმდეგ ბრძოლის ლიდერი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში?

ა. იასირ არაფატი

ბ. კოფი ანანი

გ. მარტინ ლუთერ კინგი

დ. ნელსონ მანდელა

23. რა ეწოდება საქმიანობის სფეროს, რომელიც სახელმწიფოებრივი, საერთო-საზოგადოებრივი საკითხების მოგვარებასთანაა დაკავშირებული?

ა. პოლიტიკა

ბ. ეკონომიკა

გ. სოციოლოგია

დ. სამართალი

24. რომელია მართებული სიტყვის თავისუფლების შესახებ ქვემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან?

I. სიტყვის თავისუფლება არის სხვა თავისუფლებებისა და უფლებების ერთ-ერთი გარანტი;
II. სიტყვის თავისუფლება ყველაფრის თქმის უფლებასაც ნიშნავს.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

II – ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული პიროვნებები და მოვლენები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

25. დაალაგეთ თანმიმდევრობით VI-VII საუკუნეების საქართველოში მიმდინარე მოვლენები:

1. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობა საქართველოში
2. ირანელთა მიერ მეფობის გაუქმება ქართლში
3. ირან-ბიზანტიის ომი ეგრისისათვის

26. დაალაგეთ თანმიმდევრობით ისტორიული პიროვნებები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:

1. ანტონიუს პიუსი
2. კონსტანტინე დიდი
3. მითრიდატე VI

27. დაალაგეთ თანმიმდევრობით საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. მეფისნაცვლის თანამდებობის შემოღება
2. გურიის სამთავროს გაუქმება
3. ბატონყმობის გაუქმება

28. დაალაგეთ თანმიმდევრობით XX საუკუნის I ნახევარში მომხდარი ისტორიული მოვლენები:

1. სსრკ–ფინეთის ომი
2. სსრკ–გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტის დადება
3. სამოქალაქო ომის დაწყება ესპანეთში

29. დაალაგეთ თანმიმდევრობით XX საუკუნის II ნახევარში მომხდარი ისტორიული მოვლენები:

1. „გარდაქმნის“ პოლიტიკის დასაწყისი
2. გერმანიის გაერთიანება
3. გაეროს შექმნა

III - შეცდომის პოვნა და შესწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები. იპოვეთ მათში დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენს მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულა), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულა). **ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა.შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა.**

(10) 30. საქართველო XI საუკუნის II ნახევარში

XI საუკუნის შუა ხანებში მახლობელ აღმოსავლეთში ახალი ძალა - ოსმალები გამოჩდნენ, რომლებმაც 1055 წელს თოღრულ-ბეგის მეთაურობით ქალაქი დამასკო აიღეს. ამის შემდეგ მათ ბიზანტიის იმპერიასა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შეუტიეს. ბიზანტიის იმპერიამ სასტიკი მარცხი იწვნია და აღმოსავლეთის პროვინციების დიდი ნაწილი დაკარგა. საქართველოში კი მათი პირველი შემოსევა გიორგი IV-ის დროს მოხდა. მტერი სამხრეთ საქართველოში შემოიჭრა და ახალქალაქიც აიღო. შემდეგ შაჰმა საქართველოს მეფეს

დანათესავება შესთავაზა და მეფის დისწულზე დაქორწინება ითხოვა. მეფე ამ წინადადებას დათანხმდა, რადგან დინასტიური ქორწინებით ქვეყნისთვის მშვიდობის მოპოვებას ცდილობდა. თუმცა მტრის შემოსევები გრძელდებოდა და 1078 წელს საქართველოში „დიდი თურქობა“ დაიწყო.

(14) 31. საფრანგეთის რევოლუცია

1785 წელს საფრანგეთის მეფემ ლუი XV-მ საგადასახადო სისტემის შესაცვლელად გენერალური შტატები მოიწვია. მესამე წოდების წარმომადგენლები მალე მიხვდნენ, რომ სამეფო ხელისუფლება დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. ისინი ცალკე შეიკრიბნენ და თავი ჯერ სახალხო, ხოლო შემდეგ დამფუძნებელ კრებად გამოაცხადეს. სამეფო კარის საპასუხო ნაბიჯებმა პარიზელების აღშფოთება გამოიწვია. 14 სექტემბერს მათ მონარქიის სიმბოლო, ბასტილიის ციხე აიღეს.

1791 წელს დამფუძნებელმა კრებამ საფრანგეთის მანიფესტი მიიღო.

ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა დაძაბა ურთიერთობა ევროპის სხვა მონარქიულ სახელმწიფოებთან და 1792 წელს საფრანგეთი ინგლისისა და ავსტრიის წინააღმდეგ ომში ჩაება.

1792 წელს არჩეულ იქნა კონვენტი, რომელშიც ძირითად პოლიტიკურ ძალას ერთმანეთის ოპონენტები, ფრონდისტები და იაკობინელები შეადგენდნენ, თუმცა დეპუტატთა უმრავლესობას პოლიტიკურად მერყევთა ჯგუფი ე.წ. „ჭაობი“ წარმოადგენდა. 1794 წელს იაკობინელებმა ოპონენტები დაამხეს და თავად მოვიდნენ ხელისუფლებაში.

652027

IV - პრობლემის ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. **არ დაწეროთ პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი არგუმენტი.** გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი. თითოეული არგუმენტი 1 ქულით ფასდება.

(2) 32. 1917 წელს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ერთი ნაწილი მონარქიის დამხობისა და რესპუბლიკის გამოცხადების მომხრე იყო. სხვანი კი მონარქიის შენარჩუნებას უჭერდნენ მხარს.

<u>**დავალება:**</u>

(1) 32.1. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც რესპუბლიკის გამოცხადების მომხრე დეპუტატი იმ დროს თავის პოზიციას დაიცავდა.

(1) 32.2. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც მონარქიის შენარჩუნების მომხრე დეპუტატი იმ დროს თავის პოზიციას დაიცავდა.

(2) 33. 1941 წელს ევროპაში მყოფ ქართველ ემიგრანტთა აზრი ორად გაიყო. ერთნი გერმანიის მხარეს ბრძოლას მიიჩნევდნენ საჭიროდ, ხოლო მეორენი - საბჭოთა კავშირის მხარეს.

<u>**დავალება:**</u>

(1) 33.1. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც გერმანიის მხარეს ბრძოლის მომხრე იმ დროს თავის პოზიციას დაიცავადა.

(1) 33.2. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც საბჭოთა კავშირის მხარეს ბრძოლის მომხრე იმ დროს თავის პოზიციას დაიცავდა.

V - ისტორიული რუკა

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. რუკაზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უპასუხეთ დავალებაში დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

<u>კითხვები:</u>

(2) 34.1. რომელი საუკუნეების ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) 34.2. რუკის მიხედვით, რომელ ადმინისტრაციულ ერთეულებად იყოფოდა რომის იმპერია?

(1) 34.3. რუკის მიხედვით, რომელი ქართული სამეფო ესაზღვრებოდა რომის იმპერიას?

(1) 34.4. რუკის მიხედვით, რომელი ტომები ესხმოდნენ თავს რომის იმპერიას?

(2) 34.5. რუკის მიხედვით, სადაური წარმოშობისა და რომელი კონკრეტული ტომის წინააღმდეგ ილაშქრა რომის იმპერიამ?

(1) 34.6. რუკის მიხედვით, რომელ სახელმწიფოს ებრძოდა რომი აზიაში?


ბრიტანეთი
გერმანიის ზღვა
ატლანტის ოკეანე
ლონდინიუმი
ლუტეცია
გალია
ალემანები
358
კვადები
ოსტგოთები
370
375
ჰუნები
ალანები
ილირია
394
387
314
351
ვესტგოთები
დაკია
379-382
თრაკია
მაკედონია
ევქსინის პონტო
ხერსონესი
დიოსკურია
ფაზისი
მცხეთა
ალბანეთი
სომხეთი
არტაშატი
სინოპე
ტრაპიზონი
პონტო
აღმოსავლეთი
295
363
ეკბატანა
ქტესიფონი
ბაბილონი
გენუა
იტალია
რომი
312
სალამანკა
ესპანეთი
კორდობა
ახალი კართაგენი
კ. კორსიკა
კ. სარდინია
მესინა
კ. სიცილია
სპარტა
კონსტანტინოპოლი
შიდა ზღვა
კ. კრეტა
კ. კვიპროსი
იერუსალიმი
ალექსანდრია
პეტრა
ეგვიპტე
აფრიკა
არაბეთი
რომის იმპერიის ტერიტორია
პრეფექტურების საზღვარი
გერმანული ტომების განსახლების არეალი
ბრძოლებისა და ლაშქრობების თარიღები
ლაშქრობათა მიმართულებები
სასანიანთა სახელმწიფო

652027

VI - ისტორიული წყაროს ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

(15) 35. ნაწყვეტი გენერალ ერმოლოვის მოგონებებიდან

იმპერატორის ტახტზე ასვლის დღიდან მოყოლებული, საქართველო მუდმივად ჩვენი ჯარების მიერ არის დაკავებული. აქ ნელ-ნელა შემოდიოდა ჩვენი მმართველობის სისტემა ადგილობრივი, თავის დროზე ვახტანგ მეფის მიერ შემუშავებული კანონების შენარჩუნების ფონზე.

ქართლი მეტად ნაყოფიერი, მდიდარი და ხორბლის მოყვანით განთქმული მხარეა; კახეთი ორ მაზრად არის დაყოფილი - თელავისა და სიღნაღის. პირველი, მდიდარი და ძალიან კარგი ვენახებით გამოირჩევა. მეორე, იმდენად მებაღეობით არ არის დაკავებული, როგორც ხორბლის მოყვანით.

იმერეთში, საქართველოსაგან დამოუკიდებლად, დროებითი მმართველობა მოქმედებს. ეს ღარიბი მხარე დამოუკიდებელი სამეფო იყო, დღეს ხუთ ოლქადაა დაყოფილი. სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრები, იგივე უფლებებით სარგებლობენ, რაც ადრე ჰქონდათ, მათ შორის შემოსავლების საკითხშიც.

კახეთი ლეკების მრავალრიცხოვანი ბრბოების შემოსევების შედეგად იყო აოხრებული. ქართლს ახალციხის ფაშის მფარველობაში მყოფი ლეკები ესხმოდნენ თავს. გურიას შავი ზღვის მხრიდან ახალციხის საფაშოს მკვიდრნი აწუხებდნენ. აფხაზეთს კი მთაში მცხოვრები ოსმალეთის ქვეშევრდომი ტომები ესხმოდნენ.

ამავე წლის ბოლოს თბილისში არჩევნებისთვის ქართველი თავად-აზნაურები შეიკრიბნენ. საქართველოს მეფისა თუ საკუთარ კარზე, ასევე სასამართლოებში არსებული იმ მრავალი თანამდებობის გაუქმების შემდეგ, რომელიც მათ ეკავათ, მთავრობამ დასაჩუქრების მიზნით პენსიები, მრჩეველთა და სხვა უფრო მცირე ადმინისტრაციული თანამდებობები უბოძა. აქაური თავადაზნაურობა ძალიან მრავალრიცხოვანია. თავადები აქ იმდენივე არიან, რამდენიც გრაფები პოლონეთში.

652027

აქაური მეფეების დროს უძლიერესი საგვარეულოები დიდი გავლენით სარგებლობდნენ. სამეფოს შემოსავლები მეტად მცირე იყო, არ არსებობდა ჯარის შესანახი თანხა. მეზობლებთან მუდმივი შეტაკებები იყო და ჯარი თავადების მამულებში იკრიბებოდა. ამიტომ იმ დიდ თავადებს, რომლებსაც მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოყვანა შეეძლოთ, მეფეები ბევრ რამეს პატიობდნენ.

<u>კითხვები:</u>

(1) 35.1. რომელი საუკუნის რომელი ნახევრის ამბებია აღწერილი დოკუმენტში?

(1) 35.2. რუსეთის რომელ კონკრეტულ იმპერატორს გულისხმობს ტექსტის ავტორი?

(1) 35.3. ტექსტის მიხედვით, რომელ ადმინისტრაციულ ერთეულებად იყოფოდა აღმოსავლეთ საქართველო?

(1) 35.4. რატომ ინარჩუნებდა რუსული მმართველობა ვახტანგის სამართალს საქართველოში გარკვეული პერიოდის განმავლობაში?

(1) 35.5. ტექსტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რატომ „დაასაჩუქრა“ რუსეთის ხელისუფლებამ ქართველი თავად-აზნაურები?

(3) 35.6. ტექსტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის რომელი კონკრეტული დარგები იყო განვითარებული საქართველოში?

(3) 35.7. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვალეთ ვინ ესხმოდა თავს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებს?

(1) 35.8. ტექსტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რატომ სარგებლობდნენ ძლიერი ქართველი თავადები დიდი გავლენით ქართველი მეფეების კარზე?

(1) 35.9. ჩვენი ქვეყნის რომელ მხარეებს გულისხმობს გენერალი ერმოლოვი „საქართველოს“ ქვეშ?

(1) 35.10. რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ტექსტში მოხსენიებული ახალციხის საფაშო იმ დროს?

(1) 35.11. თქვენი აზრით, რამ გაუადვილა რუსეთის იმპერიას ქართული სამეფოების დაპყრობა?

652027